

ზესტაფონის

აჩაფაჟი

გამოცემის
80-ე წელი

17 მაისი, 2011 წელი ○ მუნიციპალური გაზეთი ○ №6 (7919) ○ ფასი 50 თეთრი

ზესტაფონი – ჩაკაფაჟი

მისაჯალს სათბოთსე უმუცბრემა

არსებული კლიმატური პირობები ხელშეწყობია ისეთი სოკოვანი დაავადებების გავრცელების როგორცაა ვაზის ჭრაქი და ნაცარი.

იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ დაავადებების გავრცელება და მათგან მიყენებული ზარალი, საჭიროა აგროვადების დაცვით ჩატარდეს ვენახებში როგორც აგროტექნიკური, ასევე ქიმიური ღონისძიებები.

ვაზის ჭრაქისა და ნაცრის გავრცელების საწინააღმდეგოდ გირჩევთ პირველი და მეორე ნაშრომების ჩატარებას სისტემური პრეპარატების საშუალებით, კერძოდ, რიდომილ ბოლდის ან რიდონეტი მც 72-ის ან ავანგარდის ან ვიქტორის ან გალბენის ან კურზატის ან კაპრიო ტოპის 0,25%-იანი სამუშაო ხსნარით შესხურებას. იმ ნაკვეთებში, სადაც გასულ სავსეცეცხვით წელში ნაცრით დაზიანების კერები აღინიშნებოდა. ყვავილობის წინ ნაშრომის დროს აღნიშნული პრეპარატებიდან ერთ-ერთს დაუმატეთ ნაცრის გავრცელების საწინააღმდეგოდ ტოპაზის ან დომარკის ან პინაკლის 0,025%-იანი სამუშაო ხსნარი. ამ კომბინირებული სამუშაო ხსნარით ნაშრომა ჩატარეთ ორჯერ ყვავილობის წინ და ყვავილობის დასრულების შემდეგ.

ამასთან შეგახსენებთ, რომ არსებულმა კლიმატურმა პირობებმა გამოიწვია საკარანტინო მავნებლის „ამერიკული თეთრ პეპელას“ პირველი თაობის გამოსვლის პერიოდის შეცვლა. დღეისათვის არსებულ პირობებში კი მოსალოდნელია მათი სავარაუდო გამოჩენა.

გთხოვთ გამოიჩინოთ გულისხმიერება და დაათვალიეროთ თქვენს საკარმიდამო ნაკვეთებზე არსებული მრავალწლიანი ფოთლოვანი მცენარეები და მავნებლის გამოჩენისთანავე ჩატარეთ ბრძოლის მექანიკური ღონისძიებები ან გვაცნობთ მისამართზე: ზესტაფონი, სტაროსელსკის ქ. №31, ტელეფონი 5-35-08.

მცენარეთა დაცვის სპეციალისტი
ზესტაფონის რაიონში



ზესტაფონი!...

ჩემპიონია „ფეროს“ გულშეკრდი, რჩეულ ვაჟკაცთა გუნდი, სტადიონებზე დიდოსტატები, ფანთა გულების სწორი.

სისწრული და ბედნიერება, ისე გვაჩუქეთ ვითარცა, ცხრიანში გასულ ღამას გოლივით დაუსრულებელ გრიალს.

არ დაგმორდები, წარსულს ჩაბარდა, ტყვილად მიძღერის ვილაც, ზესტაფონშია ჩემპიონობის, მარადიული ბინა.

სურაბ ლომთაძე
14.05.2011.

ჩაკაფაჟის ამაჟანი

მრავალწლიანი პაუზის შემდეგ ზესტაფონის მუნიციპალიტეტში წყალსადენის რეაბილიტაციის ახალი ფაზა დაიწყო.

პროექტის ფარგლებში ისეთ უბნებში მოხდება წყლის მიწოდების აღდგენა რომელთაც ათეული წლებია ის არ მიუღია. სამუშაოები გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის, ადგილობრივი ხელისუფლების და რეგიონალური განვითარების სამინისტროს ერთობლივი ძალისხმევით ხორციელდება. პირველი ნაბიჯი ამ მიმართულებით გიორგი ნიკოლაძის ქუჩიდან დაიწყო რომელთა მცხოვრებლები ველარც იხსენებენ ბოლოს როდის მოვიდა მათ ონკანებში წყალი. მაჟორი-

ტარი დეპუტატის კახა გენაძის განცხადებით ამ პროგრამის დასრულება მომავალი წლის ბოლოსათვის იგეგმება.

66 წელი გავიდა რაც მსოფლიო ფაშისტური გერმანია დაამარცხა. 9 მაისი ტრადიციული დღესასწაული ზესტაფონელმა ვეტერანებმა აღნიშნეს რომელთა რიგებიც წლიდან წლამდე სულ უფრო თხელდება. ერთმანეთის მოკითხვისა და მონახულების შემდეგ მათ ყვავილებით შეამკეს საბჭოთა კავშირის გმირების კეთილადისა და ბიბილაშვილის ბიუსტები, ასევე პატივი მიაგეს ცოტა ხნის წინ გარდაცვლილ ვეტერანთა

საფლავებს. გამარჯვების დღესადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა კულტურისა და შემოქმედების ცენტრში ვეტერანებისათვის აქ კონცერტი უჩვენეს. თითქმის ვეტერანმა უკვე ტრადიციულად ამ დღეს ადგილობრივი ხელისუფლებისაგან ფულადი საჩუქარიც მიიღო.

გაიმართა რესპუბლიკური ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, რომელშიც სასპორტო სკოლის 14 მოსწავლე მონაწილეობდა. შეჯიბრებას ქალაქმა ხაშურმა უმასპინძლა. რაიონის მოჭიდავეებმა ტურნირზე 3 მესამე და ერთი მეორე ადგილის მოპოვება შეძლეს. ამ სტილით მოჭიდავენი უახლო-

ეს მომავალში ბორჯომისა და საჩხერის ტურნირებისათვის ემზადებიან.

დამოუკიდებელმა სკოლა „ანაბასისმა“ მათემატიკის კონკურსს უმასპინძლა კერძო და საჯარო სკოლებს შორის, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს თერჯოლის, ჭიათურის, ხარაგაულისა და ზესტაფონის სკოლებმა.

ეს კონკურსი საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის მიერ იყო ორგანიზებული და მასში მონაწილეობა მიიღო მეხუთე და მეექვსე კლასის 150 მოსწავლემ, საიდანაც მეორე ტურში 96 მოსწავლე გადავიდა მათ წინ კიდევ რამდენიმე ტური აქვთ.

აქცია „თეატრი და ბავშვები“ რომელსაც ზესტაფონის სახელმწიფო თეატრი და სკოლები ერთობლივად ახორციელებენ ამჯერად მოსწავლეთა დასწრებას სპექტაკლზე „იანანამ რა ჰქმნა“ უზრუნველყოფს. სპექტაკლს თითქმის ყველა სკოლა ნახავს. მარადიული თემა იაკობ გოგებაშვილის ეს ნაწარმოები, რომელიც ასე ოსტატურად გადაიტანეს სცენაზე უშანგი ჩხეიძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობებმა რეჟისორ გეგა ქურციკიძის ხელმძღვანელობით, ძალიან გულთბილად მიიღო მაყურებელმა.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული აცხადებს

ა უ ქ ც ი ო ნ ს

აუქციონზე გამოტანილი იქნება ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი უძრავი და მოძრავი ქონება (იხ. ცხრილი №1 და №2)

ცხრილი №1 უძრავი ქონება

№	დასახელება	მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ)	საწყისი საპრივატიზებო ფასი (ლარი)	საბანკო გარანტიის ან/და ბე-ს ღირებულება	ბიჯი (ლარი)	ქონების ადგილმდებარეობა	პრივატიზების ფორმა
1	არასასოფლო საშენობო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	20000 (ოცათასი)	79 200	39 60	3960	სოფელი კვალითი „კაშხლის“ მიმდებარედ	აუქციონი

ცხრილი №2 მოძრავი ქონება

№	დასახელება	საწყისი საპრივატიზებო ფასი (ლარი)	საბანკო გარანტია ან/და „ბე“ (ლარი)	ბიჯი (ლარი)	შენიშვნა (მდებარეობა)
1	ლითონის ბაგერი 1.874 ტონა	1170	59	59	ს/ს „იმერეთის“ ტერიტორია
2	პილონის კონსტრუქცია 50მ	3300	165	165	ს/ს „იმერეთის“ ტერიტორია
3	სხვადასხვა ზომის მილები 220მ სულ 2.2 ტონა	440	22	22	ერთ ლოტად ს/ს „იმერეთის“ ტერიტორია
4	მათიულბადე 200მ	900	45	45	ს/ს „იმერეთის“ ტერიტორია
5	განივი კოჭები(კუთხოვანა) 0.3 ტონა	66	3	3	ს/ს „იმერეთის“ ტერიტორია
6	ფურცლოვანი რკინა მქორადი (3-5მმ)	630	32	32	ს/ს „იმერეთის“ ტერიტორია
7	რკინის ბალკები 32 სმ. 20 მეტრი	1000	50	50	ერთ ლოტად მალაკლიძის ქ.№5
8	რკინის ბალკები 32 სმ, 28 მეტრი	400	20	20	ერთ ლოტად ჭანტურიას ქ.№2
9	რკინის ბალკები 12 სმ. 20 მეტრი	100	5	5	ერთ ლოტად ჭანტურიას ქ.№2
10	თუნუქის პროფილი 6 მეტრიანი. სულ 27 ცალი	1300	65	65	ერთ ლოტად ჭანტურიას ქ.№2
11	თეთრი აგური მქორადი. სულ 3300 ცალი	660	33	33	ერთ ლოტად ჭანტურიას ქ.№2

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:

საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს, რომელთა ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველთა განაცხადების მიღება მიმდინარეობს 2011 წლის 17 მაისიდან 2011 წლის 16 ივნისის ჩათვლით, რისი მიღებაც მოხდება ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების მუდმივი სააუქციონო კომისიის რეგისტრატორთან (ქ. ზესტაფონი, წყნეთის ქ. №11 მქორედ სართული, თამარ აბულაძე)

აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველი ზესტაფონის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის სააუქციონო კომისიის (შემდგომში მონაწილე) „რეგისტრატორს“ წარუდგენს:

- ა) წერილობით შევსებულ განაცხადს, რომელიც ადასტურებს, რომ პირი გაეცნო აუქციონის გამოცხადებისა და ჩატარების შესახებ ინფორმაციას, ეთანხმება სააუქციონო პირობებს და სურვილი აქვს მონაწილეობა მიიღოს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების მიზნით ჩატარებულ აუქციონში. ასევე, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მონაწილეზე, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის ქონების დასახელებას, თვითმმართველი ერთეულის ქონების საწყის ფასს, რომლის შექმნაც სურს მონაწილეს;

- ბ) ს.ს. „ტაობრივ ბანკს“ ზესტაფონის ფილიალში (ბანკის კოდი TRESGE22, ანგარიში 200122900, ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდი 300193323) ბე-ს ღირებულების, აუქციონზე გამოტანილი ქონების 5%-ის (ან/და უპირობო და გამოუხმობ საბანკო გარანტიის, ასევე აუქციონზე გამოტანილი ქონების 5%-ს ოდენობით) და მონაწილის ბილეთის საფასურის 20 ლარის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს (ბილეთის და საბანკო გარანტიის/ბე-ს საფასურის გადახდა უნდა მოხდეს გამყიდველის მიერ მითითებულ ანგარიშზე);

- გ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის (პასპორტის) ასლს (ფიზიკური პირის შემთხვევაში);

- დ) სანოტარო წესით დამოწმებულ მინდობილობას, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;

- ე) სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლებს და განაცხადის შეტანის მომენტისთვის მოქმედ ამონაწერს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეგისტრაციის (იურიდიული პირის შემთხვევაში).

სააუქციონო კომისიის დაეთარძო განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან, განმცხადებელი იძენს აუქციონში მონაწილის სტატუსს; მითითებული დოკუმენტების წარმოდგენის შემდეგ რეგისტრირებული მონაწილე აკეთებს შესაბამის ჩანაწერს „აუქციონის მონაწილეობის რეგისტრაციის უწყისობა“ და აძლევს მას აუქციონში მონაწილის ბილეთს.

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია საწყისი გასაყად ფასზე ბიჯის დანამატის შედეგად მაქსიმალური ფასის გადახდა; ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებისას გამყიდველისა და მყიდველის მიერ ხელმოწერილი, აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი არის ადმინისტრაციული დაპირება, გამარჯვებული პირის მიერ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელ ოქმზე ხელის მოწერაზე უარის თქმა ართმევს მას გამარჯვებულის სტატუსს.

თუ „მყიდველი“ კანონით გათვალისწინებულ ვადებში არ გადაიხდის ქონების გამოსასყიდ თანხას ან/და აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელ ოქმზე ხელს არ მოაწერს მას არ გადაეცემა საკუთრების უფლება ქონებაზე და შეტანილი საბანკო გარანტია ან/და ბე ჩაირიცხება ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში.

აუქციონის თაობაზე დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ქ. ზესტაფონში, წყნეთის ქ. №11-ში.

აუქციონი ჩატარდება 2011 წლის 16 ივნისს 14 საათზე. დამატებითი ინფორმაციისათვის დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიმართონ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისიის მდივანს ლია არჩვაძეს, მისამართი: ქ. ზესტაფონი, წყნეთის ქ. №11 მე-2 სართული.

„იქნას მიიწილა, ვინც ხელი გამოგიფიქროს მძუკარო“

ილი ინგერესით და თანმიმდევრობით თვალყურს ვაღვებინე ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და საერთოდაც თითქმის ყველა სფეროში რეფორმაციულ გარდაქმნებს, ქვეყნის თანდათან აღორძინებას, აღმშენებლობას, დასახული გრაანდორმოული პროექტების თანმიმდევრობით განხორციელებას, აღნიშნული გარდაქმნების და რეფორმების მიზნით დიდ ინგერესს იჩენს და აკვირდება თითქმის მთელი მსოფლიო, საქართველო მისაბაძი და სამაგალითო გახდა ყველასათვის (რუსეთისთვისაც კი). დროდადრო ოპიმიზმურ პრესასაც გადავავლებ ხოლმე თვალს და გაოცებული ვრჩები. წარმატებისგან გონებასასეგ-ყველი ბოლომდე საგე, გაბორბებული, დაბრმავებული ოპიმიზმის სრულიად არაადეკვატურად აღქმულ იმ პროცესებს, რაც სინამდვილეში ხდება საქართველოში, განსაკუთრებით 2003 წლის ვარდების რევოლუციის და საქართველოს „მესოფილიის“, ელვად შევარდნაძის მმართველობის დამთავრების შემდეგ.

ერაღებებმა ეგვიპტეში გამოვლინა და ქანაანში დასახლების შემდეგ დაა-წესეს „კურთობის“ დღესასწაულის. წელიწადში 1 კვირა ყველა ებრაელის ოჯახში უნდა გზისუღობა გარეთ და ეცხოვრა დახატობით იმ პირობებში, როგორც მათ ცხოვრება უხდებოდათ უკანონო 40 წლიანი ხეგლის დროს, რომ არ და-ვიწყებოდით მათ და ცოდნობით შთაბო-მავლობას, რა ცხოვრება გაიარა მისმა წინაპრებმა.

ასევე არ უნდა დაავიწყდეს არავის სულ 5-6 წლის წინ რა დღეში და ყოფა-ში იყო ეს ქვეყანა: პენსიებიანად, ხელ-ფასებიანად გაყინული, დაბნელებული, დაყინალებული ხალხი. მახსოვს ებრაელები ფიხებს რომ აგროვებდნენ თბილისშიც კი და ასე ამბავდებდნენ საჭმელს, საბურ-ვეის ცეცხლზე თუბოდა ხალხი, ქმრის წინ ცოლს აუბაგირებდნენ, დედის წინ შვილს, წიწვლებით იგაცებდნენ დიდს და პაგარას. კრიმინალები განაგებდნენ ქვეყანას, ცოცხლად მარხავდნენ ადამი-ანებს, ნაგვის ბუდედ იყო ქვეყელი ქვე-ყანა. არა პოლიცია, არა შიანრაბული ძალები, არ პქინდათ წვევაძმელებისათ-ვის ღამის გასათვიე, განსაკუთრებით, აღჭურვილობა.

ყანალები, ქურდები, ფალსიფიკატორები, თაღლითები იყვნენ აღმშენებელი ავტო-რიტეგები. აბსოლუტური დაუსჯელობით

გათავსებული კრიმინალები, დაბეჩა-ვებული და დაღვლებული ხალხი, უი-მელობით მოცული. აი, ასეთი და კიდევ რამდენი უბედურებით მოცული ქვეყანა ჩაიბარა სააკაშვილმა.

ოპიმიზმა ქართულად არ გვეგონოთ იდეური მოწინააღმდეგე და ხალხის ე-თილდობაზე ფიქრით თავდამბმებული. კარგახანია ხალხი უყურებს მათ მოღ-ვაწევობას და მეტყელობას, როგორ მო-იპოვიონ მილიონები, შემდეგ ერთმანეთ-ში ვერ რიგდებიან და ერთმანეთს წა-მიძახებენ, ვინ რა ჩაიდინა და რამდენი წაიღო. ნინო ბურჯანაძეს, 30 ჰა მიწას რომ ფლობდა წყნეთში, 1000 მ²-ობით რომ ღარიბებისათვის დაერიგებინა, 300 ოჯახს დააპურებდა.

საიდან დაიწყეს, ხომ გახსოვთ: რაგომ შეიღება ღამაზად თბილისში შენობები (გალახისფერი უნდა ყოფილიყო), რაგომ კეთდება შადრენები (ნაგავსაყრელად უნდა ყოფილიყო), რაგომ გაკეთდა პრე-მიდენგის სასახლე (ითიქოს სააკაშვილი მურგულე სასახლეს მოიკლებს და წაი-ღებს).

ქართული ქუჩის ოპიმიზმა, ეს არის ქვეყნის წარმატებით, აღმშენებლობით, ხელისუფლების საერთაშორისო ავტო-რიტეგით და აღიარებით, ბოლომდე სე-სე გაბორბებული ადამიანების მცირე ნაწილი. ვერ ურიგდებიან წითელი ინ-გელიგენციის ხარჩენებთან ერთად პრი-ვილეგიათი რომ დაკარგეს. უნდათ მათ დაკრულზე მთაქნავე პრემიენტი, მათი პროკურორი, მათი მილიციის უფროსი და სხვა. ინსტიტუტში მოწყობა ფულით, სწავ-ლა ფულით, დამთავრება ფულით, დისერ-გაცია ფულით, ვინც მათ უნდა, დაჭირო, უნდა გამოუშვა და ასე აშანაირად.

ასეთი საქართველო მოსწონდათ და კვლავ უნდათ დააბრუნონ. საერთოდ ქართულ ოპიმიზმის ისტორიულად ჭკვი-ანი და ძლიერი ხელისუფალი არასდროს არ მოსწონდათ, განსაკუთრებით არის გოკრაგის ნაწილი აქტიურობდა ყოველ დროს და ცდილობდა ამზობით (როგორც ახლა) მის დაკრულზე მთაქნავე ხელისუ-ფალი მოეყვანათ.

არ მოსწონდათ თამარ მეფე, სამე-ერ მოაბრუნეს და ბოლოს მეფედ გამო-

ავხადეს განდევნილი თახსირი გიორგი რუსი, არ მოსწონდათ გიორგი მესამე, გიორგი ბრწყინვალე, ერეკლე და სხვები. უფრო აქტიურობდა მოძრაობა ი. ჭავ-ჭავაძის შეთავაზებით, სოციალისტები ფ. მახარაძის ხელმძღვანელობით, ფილი-პე მოსწონდათ, აღია არა, სისხლ-მსმელს, მოღალატეს ეძახიან, კრძალავენ მის ნაწერებს, უსაფრდებიან და კლავენ. არ მოსწონათ საქართველოს პირველი პრემიენტი შ. გამსახურდია, ერისთვის თავდადებული, ღალატობენ, გვერდში უღ-ვანან ყჩაღ ოსელიანს, „დანისგ“ კი-ტიანს, საქართველოს „მესაფლავებს“ ე-შევარდნაძეს, დაამსობენ (სისუსტე გამო-ინიან), შემდეგ დახდებენ სოფელ-სოფელ, ემს-ელო, კარდევარ და კლავენ.

შემდეგ იგივე წითელი ოპიმიზმა და მათი მომხრეები ირინა „პოსიაკის“ მო-წოდებაზე იმოქმედნენ თავიდან ფეხებამდე სისხლში ამოსერილი შევარდნაძის წინაშე და ყვირიან: „შენ გადანიჭურთხეხე ჩვენ ავლოკაოთ, ოღონდ შენ გვეყავე არ შემე-ღნებოდა“. დღევანდელი გადასახველიან რამხელა ბოროტება, სიმდაბლე, სამი-ღრობა, უთრფიყვარეობა და არაკაცობა ჩანს ყველა ამ საქციელში.

თანამედროვე ქუჩის ოპიმიზმის სა-აკაშვილი არ მოსწონთ, ორივედ წლის წინ პაგარკაციმეობის მილიონებზე გაყიდულ-მა ღიდერებმა და წითელი ინგელიგენცი-ის ნარჩენებმა, შემდეგ მათ მიერ 10 და 20 ლარად ნაყიდმა სულმდაბლებმა, დადგნენ ქუჩაში და ყვირიდნენ: ბადრი, ბადრი! 95%-მა არ იცოდა, ვინ იყო ბადრი, ის კი თავისთავად ამბობდა, ბოლო კაკის-ის სახელს დაარქმევს შემაგინე, ჩვენს ხალხს კი საბედნიეროდ გააჩნია მგროს და მოყვრის გარჩევის უნარი. ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის დანაშაულად მიაჩნდა და მიაჩნია დღესაც რუსეთს.

ამასახელის ვინმემ პერიოდს ჩვენს ისტორიაში, რუსეთთან ნორმალური მე-მობლური ურთიერთობა გვექონდეს და

შეგაკოვა პირისპირ და ჯარი არ გამო-უგზავნა) რუსეთის საქართველოსთან მი-მართებაში არც ერთი პირობა არ შეუ-სრულებია. გაიხსენეთ ერეკლე და გოგ-ლებენის დაღვაწი. აუარებული მსხვერპლი, გაიხსენეთ გარუსებული ქართველი ციცი-ანოე-ციციშვილი, როგორ „პირნათლად“ შეასრულა მეფის რუსეთის დაჯდება რუ-სის გენერლებთან ერთად, როგორ ამოი-ცკვა საქართველოდან რვაწლოვანი ბაგრატიონთა სამეფო გვარი და გადა-სახლა რუსეთში, როგორ გააუქმა რუ-სეთში ქართული სამეფო და რუსეთის გუბერნიად გამოეხება. აიკრძალა ქარ-თული ენა, ქართულად სწავლება, ქარ-თულად ლაბარაკი, დაიწყო საქართველოს გარუსება. ეკლესია-მონასტრებიდან გა-მომიყვანეს ქართველი სასულიერო პირები და ეგზარქოსებით შეცვალეს, გააძვრეს, დააქინეს ქართული ეკლესია. ასობით მილიონის საღირალი უძრავი ქონება ჩამოართვეს ქართულ ეკლესიას. 1830-32 წლებში აჯანყება ქვეყნის დამოუკი-დებლობისათვის სისხლში ჩაახშეს. 1921 წელს დამოუკიდებელი საქართველოს დაპყრობა სტალინის და ორჯონიკიძის თაოსნობით, აუარებული მსხვერპლი.

1956 წელს შვედლიანი მომიტინგეების ელვება, 1989 წლის 9აპრილი, ორღესული ნინობით კვლავ მომიტინგეების დაჩეხვა და 2008 წლის აგვისტო, დაბომბალი ქა-ლაქები და სოფლები, უამრავი მსხვერ-პლი.

ასეთი იყო და არის „ერთმორწმუნე“ რუსეთი, ასეთ რუსეთს ემსახურებიან დღეს ნოღაღელა, ბურჯანაძე და სხვები. ასეთი სახელს დაარქმევს შემაგინე, ჩვენს ხალხს კი საბედნიეროდ გააჩნია მგროს კეთილდღეობის მოგანა უნდობლი (არ დავეკონრეგებები), არავის გამო-სვლია და არც ამათ გამოუყვით. ამათ თა-ვის სახელს დაარქმევს შემაგინე, ჩვენს ხალხს კი საბედნიეროდ გააჩნია მგროს და მოყვრის გარჩევის უნარი. ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის დანაშაულად მიაჩნდა და მიაჩნია დღესაც რუსეთს.

დამსახელის ვინმემ პერიოდს ჩვენს ისტორიაში, რუსეთთან ნორმალური მე-მობლური ურთიერთობა გვექონდეს და

რუსის ჯარით და განკით არ ყოფილიყოს საქართველო გარემოცული (მარტო მეს-გაფონში იდგა 2 პოლკი).

მოკლედ, ვინც პუგინ-მღვდელის გა-რემზე ვერ ძლებს, უნდა წავიდეს მათთან, რადგან რუსის ჩეკმა საქართველოში ვე-ღარ შემოვა. ცოცხალი თვათი გოჯი მი-წა არ დაითმობა, ანისათვის ყველა მზად უნდა იყოს.

საქართველო საუკუნეების განმე-ლობაში იბრძოდა მხოლოდ თავისი და-მოუკიდებლობისათვის და რომ იბრძოდა, იმიტომ გადგება. ერთი ათეუ მილიონი, იცოდა შეიძლება ცოცხალი ვერ დარ-ჩებოდა და მანც იბრძოდა, იცოდა 300-მა არაგველმა, რომ ვერ ძლებდა 4000 ურჯულის და ბოლომდე შეაკვდა. 9000 ქართველი დაღუპა ერთ ღღეს მარაღდის ბრძოლაში, 9 ხერხეულიძე, 9 მაჩაბული, 7 ჩოლოყაშვილი, არ უთქვამთ მათ ღღებს, ხომ იცოდა მეფემ რომ ვერ მოიეროდა და ჩემს შვილს რა უნდოდა იქი. ყველა დღემ და ყველა შეიღმა უნდა იყოღდეს სამშობლოს ერთგულება და საჭიროების შემთხვევაში თავდადება.

ყველა ქართველის უპირველესი მოვა-ლეობაა, ამ სულისკვეთებით უნდა აღზარ-დეს და ღღამ შეიღმა უნდა იყოღდეს სამშობლოს ერთგულება და საჭიროების შემთხვევაში თავდადება.

მსოფლიო სააკაშვილმა შეძლო ჩვენი პა-გარა ქვეყანა მხოლოდ ეკრალეების ცენტრში მოექცია იმ დღი რეფორმებით, რომლებიც საქართველოში თანმიმდევ-რობით ხორციელდება: წესრიგის აღმეა-რება, უსაფრთხო ცხოვრება, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა და წარმატებით მიმდინარეობა, კრიმინალიზაციის, თაღ-ლითებისაგან, ფალსიფიკატორებისაგან განთავისუფლებისათვის დღევანდამ და-ულდაღე ბრძოლას ეწევა განახლებული პოლიცია და მათი თვაკაცი ვანო მე-რანიშვილი. ყველა რომ თავ-თავის და-ნაშაულს პირწმინდად აღიარებს და შემ-დეგ დამსახურებულ ადგილს მიუხეც, ამას თურმე სააკაშვილის „რეჟიმი“ და „გორა-ნია“ ჰქვია და ამათ ამბოხს და ქვეყ-ნის ისევე არევის სურვილს „დემოკრატია“. კრიმინალების დამცველად გამოდიან. რამდენი ვინმე მიგინგე სიგყავს წარ-მოთქვამს და რაიმე დანაშაულს ჩაიდენს, შემდეგ სათანადო ადგილს მიუხეცენ, პო-ლიტეკამბარს ეძახიან. გაჩემილაძე ყვი-რის: „ჩვენ დავანგრეთ ციხეებსო“, ესე

როცა ნაყოფი მომნიფდა...

ზესტაფონის საფეხურთო ისტორიაში 2011 წლის 14 მაისი განსაკუთრებულ ადგილს დაიჭერს. ამ დღეს ქალაქის წარმომადგენელმა საფეხურთო კლუბმა პირველად მოიპოვა საქართველოს ჩემპიონისთვის განკუთვნილი ოქროს მედლები.

ალბათ "ზესტაფონის" კონკურენტებიც კი დაგვეთანხმებიან, რომ გუნდმა ალაღად იზეიმა ტრიუმფი. გია გეგუჩაძის დამოძღვრებულმა მთელი სეზონი უაღრესად სტაბილურად განვლეს.

რა თქმა უნდა, ამ ბიჭების ღვაწლი განუზომელია ქალაქის წინაშე. ახლა გვინდა გავისხენოთ ის საფეხურთო ტრადიციები, რომლებსაც ზესტაფონი ატარებს. ჯერ კიდევ საბჭოთა ხანაში ამ ქალაქის წარმომადგენელ საფეხურთო კლუბები არაერთი ცნობილი მოთამაშე გამოდიოდა (გურამ პეტრიაშვილი, ჟორა ჭუმბურიძე, გურამ ქოჩიაშვილი,

დოდო ხუნდაძე, ქართლოს ცინცაძე, გურამ ნიშნიანიძე, გურამ შავდია, ზაურ ჩუბინიძე, ნოდარ კიკნაძე, ზაზა გურიელიძე). 1962 წელს იმერლებმა მოიპოვეს საქართველოს თასი. ბოლოს და ბოლოს, არც ისე დიდ ხნის წინ ჩვენი გაზეთის მკითხველს შევთავაზეთ ფოტო, რომელზეც ასახულია უკვე დავი მსახიობი სერგო ზაქარიძე, თავის საფეხურთო გუნდთან ერთად. ბატონი სერგო იმ გუნდის კაპიტანი იყო...

90-იანი წლებიდან ზესტაფონის საფეხურთო კლუბები საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში თავის სიტყვას ამბობდნენ. არაერთ ცნობილ ფეხურთელს დაუცავს ამ ქალაქის ღირსება - აკაკი დევდამიძე, მამუკა მაჭავარიანი, როინ კერძევაძე, მერაბ მეგრელაძე, მამუკა ხუნდაძე, ზვიად ენდელაძე, ვეფხია გვენცაძე, დემურ კა-

კუბავას, მამუკა წერეთელს, ოდი-სეი ავრამიძის...

განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ ის ხალხი, რომელმაც წლების განმავლობაში ფეხურთისადმი ერთგული სამსახურით დღევანდელი ტრიუმფი შეამზადა. ოდინდელმა მარგველებმა - მალხაზ ღონლაძემ, თამაზ გაბრიჭიძემ და სხვებმა ფასდაუდებელი სამსახური გაუწიეს ზესტაფონურ ფეხურთს. არ იქნება, ვასილ ხაჭაპურიძე არ ვახსენოთ. ადამიანი, რომელმაც ზესტაფონში პირველად გაჭრა ევროფანჯარა და ყველაფერი გაიღო ფეხურთისთვის.

საქართველოს ახალ ჩემპიონს უდიდესი გამოწვევა ელის წინ. ჩემპიონთა ლიგა მართლაც მეტად საპასუხისმგებლო საჯილდო ქვაა. გვენამს, "ზესტაფონი" არც ევროპის უპრესტიჟულეს საკლუბო ტურნირში შეირცხვენს თავს.



ინტერვიუ მთავარ მწვრთნელს ბიან კაპუჩინოსთან



ამ სეზონში ბევრი კარგი მატჩი ჩავატარეთ, თუმცა ვიცი, რომ საუკეთესო თამაში წინ გვაქვს", - თქვა "მსოფლიო სპორტთან" ინტერვიუში "ზესტაფონის" მწვრთნელმა გია გეგუჩაძემ. 7 წელი - ამდენ ხანს ელოდა "ზესტაფონი" ჩემპიონობას, ეტაპ-ეტაპ მიიწევდა და მართალია, გასულ წლებშიც ბევრი თვლიდა მთავარ ფავორიტად, ყოველთვის რალაც აკლდებოდა. ამიტომაც, აქამდე კლუბის ოთახში ერთადერთი ტიტული, საქართველოს თასი იყო. "ზესტაფონს" საქართველოში გამორჩეული შემადგენლობა ჰყავს, ეროვნულ ნაკრებში ყველაზე ბევრი ფეხურთელი ჰყავს "მივლენილი" და მაინც, გუნდის წარმატების ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი გეგუჩაძე გახლდათ.

- როდის იგრძენით, რომ "ზესტაფონის" ჩემპიონობა გარდაუვალი იყო?
- მხოლოდ "სამტრედიასთან" მოგების შემდეგ, როცა ოფიციალურად გავინაღდეთ ჩემპიონობა. თუმცა, ჩვენ მთელი სეზონის განმავლობაში თავდაჯერებულები ვიყავით და რწმენა გვქონდა.
- "ზესტაფონის" წარმატების მთავარ მიზეზზე გვითხარით.
- კლუბში და გუნდში ერთსულოვნებაა. მიზანმიმართული მუშაობა მიმდინარეობს, ყველამ მშვენივრად იცის თავისი საკუთებული. სწორედ ამან განაპირობა შედეგი.
- შეგიძლიათ, რომელიმე ფეხურთელი ან რგოლი გამოჰყოთ?

- არანაირად. ყველა ფეხურთელმა დაიღო წვლილი ამ წარმატებაში.
- ...და საუკეთესო მატჩი?
- სეზონში ბევრი კარგი მატჩი ჩავატარეთ, თუმცა ვიცი, რომ საუკეთესო თამაში წინ გვაქვს.
- აპრილში თბილისის "დინამოსთან" ზესტაფონში 1:0 მოიგეთ და ბოლო წუთზე საბა ლომიას პასით გიორგი ჭანკოტაძემ გაიტანა. გადამწყვეტ მატჩში, სადაც დიდწილად წყდებოდა ჩემპიონობის ბედი, ამ ორი გამოუცდელი ფეხურთელის შეცვლაზე შეყვანას ბევრი ვერ გარისკავდა. აუცილებელი მოგება გასურდათ და ვაბანკზე წახვედით თუ სხვა მიზეზი იყო?
- ბედნიერი ვარ, რომ ჩემთვის ყვე-

ლა ფეხურთელი მნიშვნელოვანია. უშუალოდ იმ მატჩის მიმდინარეობა ითხოვდა, რომ ლომია და ჭანკოტაძე შემეყვანა.
- რამდენად სწრაფად პროგრესირებადი მოთამაშეები არიან "ზესტაფონის" დუბლებში და თუ მიეცემათ მეტი დრო მომდევნო სეზონში?
- ეს მთლიანად მათზე დამოკიდებულია. ყურადღებას ვადევნებთ და პროგრესი არ გამოგვრჩება. მთავარია, ამ ფეხურთელებმა წინსვლა არ შეწყვიტონ.
- საქართველოს წამყვანი გუნდებიდან "ზესტაფონი" ერთადერთია, რომელიც მუდამ ორი თავდამსხმელით თამაშობს...
- სამწუხაროდ, დღესდღეობით შემ-

ტევ ფეხურთს ბევრი სკეპტიკურად უყურებს და ბედნიერი ვარ, რომ სწორედ ასეთი, სანახაობრივი თამაშით გავხდით ჩემპიონები. ისიც სათქმელია, რომ გუნდში შეკრებილი შემადგენლობა ლამაზი ფეხურთის დემონსტრირების საშუალებას იძლევა.
- "ზესტაფონი" გასულ სეზონებშიც ითვლებოდა ფავორიტად, თუმცა მიზანს ვერ აღწევდა. წლეულს უკეთესი გუნდი გყავთ? თამაშის ხარისხს ვგულისხმობთ.
- დიახ, წინსვლას აშკარად ვხედავ. შარშანწინდელზე უკეთესი გუნდი შარშან გვყავდა, შარშანდელზე უკეთესი - წლეულს. და ყველაფერი იქით მიდის, რომ გაისად უფრო ძლიერები ვიქნებით. მიღწეულ შედეგს გამაგრება სჭირდება.
- ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპამდე შემადგენლობა არ გაძლიერდება? და თუ გაქვთ მოხაზული სავარაუდო წამსვლელ-მომსვლელების სია?
- ჯერჯერობით, არცერთ ფეხურთელზე არაა გადაწყვეტილი, რომ გუნდიდან მიდის. ასევე, ნამატზეც ვერაფერს ვეტყვით. ჯერ ჩემპიონატი არც დასრულებულა, ორი ტური დარჩა და ამდენად, გუნდში ცვლილებების საკითხს მოგვიანებით მივხედავთ.